ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ს.ქ.კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 104 (5205) | ორშაბათი, 9 მაისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ქართველი ხალხი, რომელიც მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გმირულად იცავდა თავის თავისუფლებას, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა ნამდვილად თავისუფალი, სსრ კავშირის ხალხთა დიადი ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები მ. ფ. შკირიატოვი, ნ. მ. შვერნიკი, ი. ბ. სტალინი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ი. კალინინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ვ. ი. ჩუბარი, და ნ. ი. ეჟოვი მავზოლეის ტრიბუნაზე. 1938 წლის 1 მაისს ქ. მოსკოვის წითელ მოედანზე შესდგა დედაქალაქის მშრომელთა მძლავრი დემონსტრაცია.

ფოტო კისლოვისა („სოიუზფოტო“)

ხალხის კანდიდატები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინასაარჩევნო კრებები მშრომელთა უდიდესი ენტუზიაზმითა და აქტივობის უმაგალითო აღმავლობით ტარდება. ყველგან, წარმოებებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც კი წინასაარჩევნო საერთო კრება ჩატარდა, მშრომელმა მასებმა გვიჩვენეს ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებისა და პარტიის გარშემო შემჭიდროვების ბრწყინვალე ნიმუშები. წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელთა ფართო მასები დიდი სტალინის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას გამოხატავენ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად მშრომელი მასები ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს ასახელებენ. წინასაარჩევნო კრებებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პოლიტბიუროს ყველა წევრი და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი ლავრენტი ბერია.

საქართველოს მშრომელი ხალხი თავის უმაღლეს ორგანოში ასახელებს იმათ, ვინც ნამდვილად ერთგულია ლენინ-სტალინის პარტიის საქმისა, ვინც საქმით დაამტკიცა თავისი ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი. ფაბრიკებსა, ქარხნებსა, დაწესებულებებსა და საკოლმეურნეო სოფლებში გამართულმა წინასაარჩევნო კრებებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს აგრეთვე ისეთი მოწინავე ადამიანები, როგორიც არიან მაგალითად ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი, კონსტანტინე დავითის-ძე ერისთავი, ანტონ ვასილის-ძე ჯორბენაძე, ნიკოლოზ ვასილის-ძე გელაძე, ივანე ალექსის-ძე დევსუაშვილი, ნინო სვიმონის-ასული აგაშენაშვილი და სხვ.

თბილისის ლენინის რაიონის უდიდესი საწარმოს — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა დაასახელეს ამხანაგი სტალინის კანდიდატურა.

უდიდესი გულწრფელობით იყო გამსჭვალული ყველა სიტყვა ამ შესანიშნავ კრებაზე. ყველას ესმოდა, ყველა გრძნობდა, რომ ისინი აკეთებდნენ დიდ ისტორიულ საქმეს, რომ მათი მგზნებარე სიტყვები მთელ ჩვენს ქვეყანას მოეფინება.

წამოაყენეს რა კანდიდატთა შორის ყველაზე უსახელოვანესი კანდიდატურა ამხანაგ სტალინისა, — თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშებმა იციან, რომ მათ გამოხატეს მთელი საქართველოს მშრომელი ხალხის სურვილი.

ყველგან, სადაც კი წინასაარჩევნო კრება ჩატარდა, ამხანაგ სტალინზე ლაპარაკობდა ყველა ორატორი. მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნენი, სტუდენტები და პროფესორები ლაპარაკობდნენ თავიანთ ბედნიერ ცხოვრებაზე, ჩვენს მიღწევებზე, კულტურულ და ეკონომიურ ზრდაზე და ეს იყო და არის სიმართლით საფუძველი სიტყვები ამ ცხოვრების შემომქმედზე, ეს არის სიტყვები სტალინზე. „იმიტომ, რომ სტალინი დაემკვიდრა თვითეულის ცხოვრებაში, გახდა მისი სულის ნაწილი, გახდა ყოველივე იმის მომასწავებელი, რაც ხალხს სოციალისტურმა რევოლუციამ მისცა. სტალინი ისახება ხნიერი მუშების ბედნიერ ცხოვრებაში, რომლებმაც თავის თავზე განიცადეს კაპიტალისტური ჩაგვრა, ხოლო ახლა სიხარულით შეჰყურებენ თავიანთ ვაჟებსა და ქალიშვილებს, საბჭოთა სწავლის ინტელიგენტებს. სტალინი ისახება ახალ მუშათა ბედნიერ ახალგაზრდობაში, რომლებიც არ ყოფილან და უკვე არ იქნებიან პროლეტარები. სტალინი ისახება ახალი ქალაქების ფართო პროსპექტებში, აყვავებულ ბაღებში, სასახლეებში და ჩვენი კოლმეურნეობების შეძლებულ ცხოვრებაში“ („პრავდა“).

უდიდესი აღფრთოვანებით უსმენდნენ ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკები პირველი ორატორის, უპარტიო მუშის, სტახანოველ ნიკოლოზ ცილიკინის სიტყვებს.—ჩვენ, უპარტიონი, —განაცხადა მან.—კომუნისტებთან ერთად, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ვასახელებთ იმას, ვის სახელსაც უდიდესი სიამაყით ატარებს ჩვენი ქარხანა, —იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ აქ, ამ ქარხანაში, ხოლო წინათ ამიერკავკასიის რკინიგზების მთავარ სახელოსნოებში, ჩვენი დიდი ბელადი, ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში, გვეუბნებოდა დიადი სიმართლის სიტყვებს და მებურკალედ მოგვწოდებდა ბრძოლისაკენ ტირანების დამხობისათვის, ნათელი მომავლის მოპოვებისათვის და გვრაზმავდა და გვაკავშირებდა ჩვენ ამ ბრძოლისათვის...

პარტიული და უპარტიო ბოლშევიკების მჭიდრო ერთობაში, კომუნისტებისა და უპარტიოების დიად სტალინურ ბლოკში ერთი იდეით შედუღებულნი, ჩვენ, ქარხნის მუშათა კოლექტივი, იმ ქარხნისა, რომელიც სიამაყით ატარებს დიდი სტალინის სახელს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ვასახელებთ ჩვენს ბელადს, მასწავლებელს და მეგობარს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. იმას, ვინც მიგვიყვანა უდიდეს გამარჯვებამდე ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის ბრძოლაში“.

ამ რეზოლუციას უდიდესი სიხარულითა და ერთსულოვანი აღტაცებით ეგებებიან საქართველოს მშრომელები.

ასევე აღფრთოვანების გრძნობით შეხვდებიან მშრომელები წინასაარჩევნო კრებებზე ჩვენი სამშობლოს სხვა საუკეთესო შვილების, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

უპარტიო მშრომელთა ფართო მასები ერთსულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტების კანდიდატებს, იმიტომ რომ „საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ), რომელსაც საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტი და დიდი **სტალინი** ხელმძღვანელობენ, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე დაამტკიცა, რომ იგი თავდადებით იბრძვის **ლენინ-სტალინის** დიადი იდეების განხორციელებისათვის, რომ მას შესწევს უნარი თანამიმდევრობით და ბოლომდე დაიცვას ხალხის საქმე“. (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი).

კომუნისტები ერთსულოვნად უჭერენ მხარს უპარტიოების კანდიდატებს, იმიტომ რომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე უდიდესი მიღწევები მოიპოვა და ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერებთან ბრძოლაში გაიმარჯვა უპარტიო მასების აქტიური მხარდაჭერით, კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი კავშირით. უძლეველია კომუნისტებისა და უპარტიოების კავშირი, მას ვერ შეარყევს ვერავითარი ძალა. ეს სჩანს ყველგან, ყველა წინასაარჩევნო კრებაზე.

წინასაარჩევნო კრებებზე ამომრჩეველთა პოლიტიკური აქტივობის უმაგალითო ზრდა ბრწყინვალე დასტურებაა იმისა, რომ ქართველ ხალხს, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს მტკიცედ უჭირავთ ხელში ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშა და გაბედულად მიდიან წინ კომუნიზმისაკენ.

მუშები, გლეხები, მოსამსახურეები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო შვილებს

თ ბ ი ლ ი ს ი

თბილისის ავტომობილთა ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა ხალხთა დიდი ბელადი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დასახელებულია

ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძე

თბილისის ავტომობილთა ქარხნის ეზოში, გაიმართა ქარხნის მუშათა, ინჟინერ - ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება. კრებას დაესწრო 800-ზე მეტი ამომრჩეველი.

ტრიბუნაზე არის შექანიკური საამქროს ხარატი სტახანოველი ამხ. რუხაძე. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ასახელებს ამხანაგ სტალინს.

მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით „ურას“ და „ვაშას“ ძახილით და მისასალმებელი შეძახილებით ხალხთა დიდი ბელადის პატივსაცემად ხვდება **ამ წინადადებას** ყველა დამსწრე.

საბარე საამქროს სტახანოველი ამხ. სიმონიანი ასახელებს **ამხანაგ** ლ. პ. ბერიას კანდიდატურას.

ხანგრძლივი ტაშით ესალმებიან კრების მონაწილენი საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელის **კანდიდატურას.**

ქარხნის საბარე საამქროს უფროსი ამხ. ვადოვი საყოველთაო მოწონებით ასახელებს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის **მდივნის** ამხ. მ. დ. ჩუბინიძის კანდიდატურას.

— ჩვენ ყველა კარგად ვიცნობთ მირონ დიმიტრის-ძეს, — **სთქვა ამხ.** ვადოვმა, — ჩვენ ხშირად ვხედავთ მას საამქროებში. იგი დიდ დახმარებას გვიწევს ჩვენს მუშაობაში. აი რატომ შემომაქვს წინადადება, რომ მხარი დავუჭირით **ამხ. ჩუბინიძის** კანდიდატურას. შემდეგ გამოსული **ამხანაგი** კონნი მხურვალედ უჭერს მხარს დასახელებულ **კანდიდატურებს.**

სიტყვით გამოდის ქარხნის დირექტორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი ვლადიმერ ერემიას-ძე სალაძე. ისიც მხარს უჭერს აგრეთვე დასახელებულ კანდიდატურებს და წინადადებას აძლევს კრებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად 12 ივნისის დღეს შეხვდნენ ქარხნის ნახევარწლიანი გეგმის შესრულებით.

დიდხანს გრიალებს ტაში დასახელებულ კანდიდატთა პატივსაცემად. კრება ერთსულოვნად იღებს **ამხ.** სალაძის წინადადებას.

თავის რეზოლუციაში კრება ერთხმად უჭერს მხარს **ამხანაგ** სტალინის, ბერიასა და ჩუბინიძის კანდიდატურებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად.

კრებამ დეპეშა გაუგზავნა **ამხანაგ** სტალინს და **ამხანაგ** ბერიას და სთხოვა დათანხმდნენ კენჭი უყარონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ლენინის № 1 საარჩევნო ოლქში (საქდესი).

წულუკიძის რაიონის მეაბრეშუმე სტახანოველ ქალთა წერილი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს

ამხანაგ ლავრენტი ბერიას

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი!

წულუკიძის რაიონის კოლმეურნე მეაბრეშუმე სტახანოველ ქალთა შეკრება, რომელმაც განიხილა საკითხი 1938 წელს მეაბრეშუმეობის დარგში მოსავლიანობის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ, მხურვალე კოლმეურნულ სალამს გიძღვნის თქვენ, საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს, დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფეს, მის გენიალურ მითითებათა ურყევ გამტარებელს!

დიადი საბჭოთა კავშირის ხალხებმა ლენინ - სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს ექსპლოატატორები, თავიდან მოაშორეს ხალხს თავადების, ხუცების და კულაკების მხეცური ბატონობა, დაამყარეს მუშათა კლასის დიქტატურა და მიაღწიეს სოციალიზმის ძირითადად განხორციელებას. შექმნილია ბედნიერი და მხიარული ცხოვრება ყველა მშრომელისათვის, ჩვენი გული გამთბარია ეპოქის დიადი დოკუმენტით — სტალინური კონსტიტუციით.

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინურმა წესდებამ, დიდი **სტალინის** მითითებებმა და იმ ღონისძიებათა გატარებამ, რომლებიც პარტიამ და ხელისუფლებამ დაუსახეს საქართველოს კოლმეურნეობებს შემდგომი განმტკიცებისათვის, უზრუნველჰყვეს კოლმეურნეობებში უხვი მოსავალი, დღეს ჩვენი კოლმეურნეობები ბოლშევიკური კოლმეურნეობებია და კოლმეურნენი შეძლებულად და ბედნიერად ცხოვრობენ.

რაიონში მოკალათებულ, ხალხის ამჟამად მხილებულ და განადგურებულ მტერთა, ფაშიზმის აგენტთა კონტრრევოლუციურ ტროცკისტ-ზინოვიეველ ბუხარინელ ნაძირალათა მრავალი ცდა — დაენგრიათ კოლმეურნეობები, განზრახ გამოეწვიათ კოლმეურნეობებში უკმაყოფილება, ჩაეშალათ ყველა სახის გეგმები და მათ შორის მეაბრეშუმეობისაც — უშედეგოდ დამთავრდა.

ჩვენი რაიონის მშრომელებმა თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით და სახელოვანი შინსახკომელების დახმარებით მოსპეს და გაანადგურეს ხალხის ეს საზიზღარი მტრები.

ამხანაგო ლავრენტი! საქართველოს კ. პ. (ბ) მეათე ყრილობაზე თქვენ მეაბრეშუმეობის 1937 წლის გეგმის შესრულების შესახებ მოგვითითებდით: „ეს გეგმა არათუ მთლიანად, არამედ გადამეტებითაც უნდა შესრულდეს. რაიონებს საამისოდ ყველა შესაძლებლობა აქვთო“. ჩვენ გვამხნევებდა ეს თქვენი მითითება და მთელი ჩვენი ძალები დავრაზმეთ გეგმების გადამეტებით შესასრულებლად; კიდეც შევასრულეთ. დღეს, როცა ვათვალიერებთ აბრეშუმის გამოსავლიანობისა და ჩაბარების ციფრებს და ვადარებთ 4-5 წლის წინათ არსებულ მდგომარეობას, გვიკვირს როგორ ჩამოვრჩებოდით მაშინ და ვხალისობთ 1937 წლის წარმატებებით. 1932 წელს ჩვენს რაიონში დამზადდა **61.800 კილოგრამი პარკი, კოლოფზე გამოსავლიანობა კი უდრიდა 11,3 კილოგრამს. 1937 წელს ჩავაბარეთ 194.444 კილოგრამი პარკი,** ხოლო გამოსავლიანობა **კოლოფზე უდრიდა 45,2 კილოგრამს,** ე. ი. ზრდა ერთი-სამად და კიდევ მეტია; გასულ წელს ჩვენი რაიონის მეაბრეშუმეებმა მივიღეთ ჩაბარებული პარკის საფასური 1.682.000 მან. და პრემია-დანამატი 489.000 მანეთი, სულ 2.171.000 მანეთი. გაიზარდა სტახანოველთა რიგები და სტახანოველთა მაჩვენებლები. **1936 წელს 210 მეაბრეშუმე სტახანოველი იყო, ხოლო 1937 წელს მათი რიცხვი 720-მდე ავიდა.** სტახანოველი მეაბრეშუმეების მიერ მიღწეული საშუალო მოსავლიანობა **შეადგენდა 77,3 კილოგრამს კოლოფზე, ხოლო ცალკეული სტახანოველები გაცილებით მეტ მაჩვენებლებს იძლევიან.** ჩვენს სტახანოველ მეაბრეშუმე-ქალთა შორის გამოირჩევიან: **კოლმეურნე მენიკო ჰოლოკავა,** რომელმაც გასულ წელს ჩაბარა 102 კილოგრამი პარკი. ნაცვლად 60 კილოგრამისა და მიიღო ფულად 1.795 მანეთი, **ვერა ბახტაძე** — ჩააბარა 75 კილოგრამი, ნაცვლად 39 კილოგრამისა და მიიღო 1.255 მანეთი, **ოლია ლაითაძე** — ჩააბარა 91,2 კილოგრამი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 44 კილოგრამისა და მიიღო 1.835 მანეთი. ასეთმა დიდმა მოსავლიანობამ და შემოსავალმა საშუალება მოგვცა ეცხოვროთ კულტურულად და შეძლებულად. ჩვენს წინაშე 1938 წელს კიდევ უფრო დიდი ამოცანებია დასახული, კონტრაქტაცია ჩავატარეთ 4.350 კოლოფ აბრეშუმზე, **სახელმწიფოს უნდა ჩავაბაროთ 204.450 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, გამოსავლიანობა კი უნდა მივიღოთ საშუალოდ 47 კილოგრამი კოლოფზე.**

გარწმუნებთ, ჩვენო საყვარელო **ლავრენტი,** რომ ამ ამოცანებს უფრო მაღალი მაჩვენებლებით შევასრულებთ, ვიდრე ეს შევასრულეთ 1937 წელს, გავზრდით სტახანოველ მეაბრეშუმეთა რიგებს, განვაზორციელებთ ჭიის განუწყვეტელ კვებას, ავამაღლებთ ჩვენს კვალიფიკაციას აგროტექნიკური ცოდნის მიღებით, მეაბრეშუმეთა შორის ფართოდ დავნერგავთ და გავშლით სოციალისტურ შეჯიბრებას, დამკვრელობას, სტახანოვურ მოძრაობას, გადმოვიღებთ მოწინავეთა გამოცდილებას სხვა რაიონებიდან იმისათვის, რომ ნიადაგი მოვუმზადოთ მეაბრეშუმეობის კიდევ უფრო დიდ აღმავლობას შემდგომ წლებში; მიმდინარე გაზაფხულზე კოლმეურნეთა და **ერთპიროვნულ** მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე გავაშენებთ 40.000 ძირ თუთის ხეს.

1938 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ქუთაისისა და ვანის რაიონების ყველა მეაბრეშუმე ქალს.

კოლმეურნული სალამით შეკრების დავალებით:

მარო კოკალიანი, მაშო მაისურაძე, ნინო ჯოლოკავა, ვერა მესხი, ნადია გოგრდაძე, ფედოსი რუხაძე, იულია ღურჭუმელია, ოლია ლაითაძე, ვერა ბახტაძე, ნინო რუხაძე, აგრაფინა ბახტაძე, შურა ცანავა, ოლია გელენიძე, თამარი ჟაჯაია.

ხალხთა ბელადს დიდ სტალინს

თბილისის ყველა მშრომელთა კრება,
დედაქალაქის გულში მისული,
ერთხმად გუგუნებს როგორც ქვეყნისთვის
ორას ათასი თავშეფიცული.

ერთხმად გუგუნებს და ერთის გრძნობით
მოგესალმება საყვარელ ბელადს,
ვისი სახელიც ქვეყნად ანათებს
და გამარჯვებულ დროშებზე ელავს.

დღეს გაზაფხული საქართველოში
მზითა და შენი ხელით სწერია,
ბედნიერია დღეს საბჭოეთი
და საქართველოც ბედნიერია.

ჰყვავის სოფელი, ჰყვავის ქალაქი,
ხალხის დოვლათი დადგა მთებურად,
შენი სიბრძნით და შენი მარჯვენით
ჩვენი სამშობლო განათებულა.

შენ მოგვიტანე — რაც გვინატრია,
რაც სხვას არავის არ მოუცია:
გამარჯვებული ქვეყნის და ხალხის
უდიადესი კონსტიტუცია.

და თავის პირველ უმაღლეს საბჭოს
არჩევნებს ერი დიდებით ხვდება,
მოდის დუნია და ქართველ ხალხის
სიმღერა კრემლის ვარსკვლავებს სწვდება.

აშლილა ხალხი და როგორც თავის
ბედნიერების გამომსახველი,
მოაქვს უწმინდეს ფიცად და დროშად,
დიდო ბელადო, შენი სახელი!

მოაქვს მას გულით ვინც დღეს ახარებს,
ვინც მასთან იყო ძველად ჭირშიაც —
მან საკავშირო უმაღლეს საბჭოს
პირველ რჩეულად შენ აგირჩია.

დღეს საქართველოც შენ გასახელებს, —
შენი მშობელი, შენი აკვანი,
რადგან მის ყველა გაზრდილთა შორის
შენა ხარ გმირი პირველთაგანი.

და ერთხმად გფიცავს ქართველი ხალხი
ბოლშევიკური საქმით და ფიცით,
დავიცვათ ჩვენი დიდი სამშობლო
ბრძოლით, რომელიც ჩვენ შენგან ვიცით.

დავიცვათ ყველა მონაპოვარი,
და როგორც წინათ—მომავალ დროშიც,
გავწიოთ ახალ გამარჯვებებით
ლენინ-სტალინის უძლეველ დროშით!

მაშ გაუმარჯოს — ვინც ხალხის გულში
ცოცხლობს და გვაძლევს სიცოცხლის ხალისს, —
ჩვენს მასწავლებელს, მამას და ბელადს,
ქვეყნის დიდებას— საყვარელ სტალინს!

ლეჩხად თქმული ილო მოსაშვილის მიერ.

საქ. სსრ ფინსახკომის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილება

დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრთა შემდეგი შემადგენლობა: კ. ს. ცინცაძე (თავმჯდომარე), ვ. ვ. კაჭარავა, ი. რ. კალატოზიშვილი, ა. ტ. ბალათურია, ი. ე. ოქროსცვარიძე და შ. ა. გოგია.

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი რ. ჭელიძე

მეორე ხუთწლედის სესხის მეშვიდე ჯირაჟი

17 მაისს ყაზანში შესდგება მეორე ხუთწლედის სესხის მეშვიდე ტირაჟის მოგებათა მორიგი გათამაშება (მეოთხე წლის გამოშვება).

ტირაჟში გათამაშებულ იქნება 1.060 ათასი მოგება 173.920 ათასი მანეთის რაოდენობით.

საქართველოს მანქანათმშენებლობის მრეწველობამ შეასრულა აპრილის გეგმა

საქართველოს ადგილობრივ მრეწველობასთან არსებულმა მანქანათმშენებლობისა და ლითონის დამამუშავებელმა ქარხნებმა შეასრულეს აპრილის გეგმები. 7 ქარხანამ 9-დან გეგმები გადაჭარბებით შეასრულა; ორჯონიკიძის სახელობის ქარხანამ გეგმა შეასრულა 104 პროც., 26 კომისრის სახელობის ქარხანამ — 108,3 პროც.; კალინინის სახელობის ქარხანამ — 103,2 პროც., ლითონის კონსტრუქციების ქარხანამ—131,8 პროც.

საქ. მანქანათმშენებლობის მრეწველობის მიერ ერთ თვეში გამომუშავებულია 421.000 მანეთით მეტი პროდუქცია, ვიდრე შარშან ამავე თვეში. (საქდესი).

საქართველოს მშრომელები—პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები—უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე მიდიან მჭიდროვებულნი სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო

თბილისი

თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა, მეცნიერ-მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებამ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად დაასახელა ამხანაგები:

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი
აღექსანდრე თომას-ძე კვაჭაძე

თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა, მეცნიერ-მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრება ამ სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა, მეცნიერ-მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებაა.

კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. ბებიამ. პირველად სიტყვას ამბობს მეცნიერ-თანამშრომელი ამხ. გ. თ. ბურძენიშვილი.

ჩვენი კოლექტივი, — ამბობს ამხ. ბერძენიშვილი, — ამაყობს იმით, რომ სახალგაზრდობისას დიდი სტალინი მუშაობდა ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებაში, აყალიბებდა და ხელმძღვანელობდა იატაკქვეშეთში რევოლუციურ წრეებს.

უდიდესი აღფრთოვანებით ვასახელებ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად გენიალური გონების პატრონს, ჩვენს საყვარელ ბელადს და მასწავლებელს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს (მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან).

შემდეგ სიტყვით გამოდის მეცნიერ-მუშაკი ამხ. კ. ს. გოგიშვილი. იგი საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს გამოჩრმძედილ მედგარ ბოლშევიკს, ამხანაგ სტალინის საუკეთესო თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარეს, ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს. ამ წინადადებას მქუხარე ტაში ფარავს.

მეცნიერ-მუშაკი ამხ. ი. ა. ცუცქირიძე საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის მდივანს ამხ. აღექსანდრე თომას-ძე კვაჭაძეს.

თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელა ამხანაგები:

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი
ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჭოვი

სატრიკოტაჟო ფაბრიკის პროფორგანიზაციის თავმჯდომარემ ამხ. გ. გოგვაძემ.

ჩვენი — ამბობს ამხ. ე. ზასიშვილი—ქვეყნის ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება მოგვანიჭა ლენინ-სტალინის პარტიამ და მშრომელი ხალხის სულისჩამდგმელმა, ამხანაგმა სტალინმა. ჩემი წინადადებაა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად დავასახელოთ ჩვენი დიდი სტალინი (მქუხარე ხანგრძლივი ტაში, შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს პირველ დეპუტატს ამხანაგ სტალინს!“). შემდეგ სიტყვას ღებულობს ამავე ფაბრიკის სტახანოველი ამხ. ნ. ჯაგატოვა.

მე მხარს ვუჭერ პირველ კანდიდატურას—ამბობს ამხ. ჯაგატოვა, — წინადადება შემომაქვს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად წამოყენებულ იქნას აგრეთვე პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — განაცხადა სიტყვით გამოსულმა ამხ. შერსინსკიმ,—მე ვასახელებ რკინის სახკომს ამხ. ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჭოვს.

თბილისის „ტრიკოტაჟშვენის“ კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა და მოსამსახურეებმა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად უდიდესი აღფრთოვანებით დაასახელეს ამხანაგები:

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი
ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი
მარიამ ივლიანეს-ასული ბუჩკუღაძე

„ტრიკოტაჟშვენის“ კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებას 600-მდე ამომრჩეველი დაესწრო. სიტყვას იღებს კომკავშირელი სტახანოველი ამხ. პ. სმირნოვი, საქ. სსრ რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მან დაასახელა დიდი სტალინის თანამებრძოლი ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

ამხანაგ სმირნოვს სცვლის ამხ. ე. სმიგუნოვი, უპარტიო, სტახანოველი ზეინკალი. იგი მქუხარე ტაშის გრიალში ასახელებს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ანასტას ივანეს-ძე მიქოიანს.

შემდეგ სიტყვით გამოდის ამხ. პ. პლეჩკო.

საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, — ამბობს იგი, მე ვასახელებ მე-36 საშუალო სკოლის მასწავლებელს ამხ. მარიამ ივლიანეს-ასულს ბურჩულაძეს, რომელიც 18 წელია დაუღალავად იბრძვის პედაგოგიურ ფრონტზე.

(საქდესი).

გორი

გორის საკონსერვო ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად წამოაყენეს ამხანაგები:

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
კიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი
ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

27 აპრილს, გორის საკონსერვო ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა შესვენებისას თავი მოიყარეს წინასაარჩევნო კრებაზე.

სიტყვით გამოვიდა საკონსერვო ქარხნის ორდენოსანი მუშა სტახანოველი ამხ. ლიზა კუსრაშვილი.

— ჩვენ ვცხოვრობთ იმ ქალაქში, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა, მშრომელი ხალხის მამამ და მასწავლებელმა, ამხანაგმა სტალინმა. ჩვენ ყველაწი ხმას მივცემთ ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილებს, რომლებიც იბრძვიან ხალხთა ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებისათვის. საკონსერვო ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები, მუშები, მოსამსახურეები მტკიცე სიტყვას ვიძლევით, რომ წელს ჩვენი ქარხანა მოცემულ საწარმოო გეგმას დაწესებულ ვადებზე ადრე შეასრულებს.

ნება მომეცით საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი ქარხნის მთელი კოლექტივის სახელით დავასახელო ბედნიერი ცხოვრების მესაჩე, ჩვენი კონსტიტუციის გენიოსი შემომქმედი დიდი სტალინი.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!—ამთავრებს სიტყვას ამხ. ლ. კუსრაშვილი და დიდხანს არ სცხრება ტაშის გრიალი.

სიტყვას იღებს მთავარი საამქროს ინჟინერი ამხ. გერ. თავაძე.

— ოქტომბრის რევოლუციის მოწაფეებს, მშრომელი ხალხის მშვილდობიანობას საბჭოთა კავშირში იცავს უძლეველი მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელსაც ხელმძღვანელობს რკინის სახკომი, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი ამხანაგი კლიმენტ ვოროშილოვი (მქუხარე ტაში). ამიტომ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, მშობლიური წითელი არმიის სახელოვან ხელმძღვანელს, საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს (მქუხარე ტაში).

კაპიტალისტური წყობილების დროს საქართველო წარმოადგენდა დაბეჩავებულ კოლონიას, — აცხადებს საკონსერვო ქარხნის სტახანოველი მუშა ამხ. ბ. მჭედლიშვილი,—დღეს კი საქართველო საბჭოთა კავშირის 11 მოძმე რესპუბლიკის წყებაში ერთერთი მოწინავე, აყვავებული, კულტურული რესპუბლიკაა. საქართველოს სს რესპუბლიკის მიღწევები დაკავშირებულია ამხანაგ ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობასთან, ამიტომ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ვასახელებ ამხანაგ ლ. პ. ბერიას (მქუხარე ტაში).

კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე სტახანოველი მუშები — ლიდა ყანჩაველი, მ. მეჩიტაშვილი და ედიშერაშვილი, რომლებიც ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს წამოყენებულ კანდიდატურებს.

სამასწავლებლო ინსტიტუტის წინასაარჩევნო კრებაზე გამოვიდნენ—სტუდენტი შამფულორია, პროფ. ბ. ბარამიძე, დოცენტი ა. ღლონტი, ნ. ცხაკაია, სტ. ტაგელიძე და სხვ. გამოსული ამხანაგები საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის კანდიდატებად ასახელებენ ხალხთა ბელადს დიდ სტალინს, საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს, წითელი არმიის რკინისებურ სახკომს ამხანაგ კლიმენტ ვოროშილოვს და საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელს — ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

წინასაარჩევნო კრებებზე სიტყვით გამოსული მუშები, ინჟინრები, მოსამსახურეები, სტუდენტები, მასწავლებლები, პროფესორები სთხოვდნენ დასახელებულ კანდიდატებს კენჭი იყარონ ქალაქ გორის საარჩევნო ოლქში.

ლ. ხორბალაძე.

ქუთაისი

ქუთაისის რაიონის სოფ. ქვედა-სიმონეთის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა და კოლმეურნე-ქალთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად წამოაყენა ხალხთა დიდი ბელადი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჭოვი
ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
გრიგოლ ევსეის-ძე ნარსია

დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა წინასაარჩევნო კრება ქუთაისის რაიონის სოფელ ქვედა-სიმონეთის ვანო სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში. კრებას დაესწრო 400 კოლმეურნე და კოლმეურნე-ქალი.

კოლმეურნეობის ბრიგადირის ამხ. ალექსანდრე ლიკლიკაძეს წინადადება შემოაქვს დასახელებულ იქნას საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი ი. ბ. სტალინი. ამხანაგები ნ. ი. ეჭოვი, ლ. პ. ბერია და პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ე. ნარსია. ამხანაგ ლიკლიკაძის შემდეგ გამოსულმა ამხ. იონა ჯუღლუხაძემ, ვალერიან დოლონაძემ და ელისაბედ მაჩიტაძემ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამხ. ლიკლიკაძის წინადადებას.

ჰიათურა

ჰიათურის № 118 ოლქის წინასაარჩევნო კრებაზე ერთხმად დასახელებულ იქნენ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად:

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჭოვი
ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი
ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი
კიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი
ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
დავით ლაზარეს-ძე ჭორჭოლიანი

ჰიათურის № 118 საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო კრება მუშათა თეატრში შესდგა. კრებას თავმჯდომარეობდა მარგანეცის მრეწველობის მოწინავე სტახანოველი გედეონ მეცხვარიშვილი. პირველად სიტყვა აიღო სტალინის სახელობის მაღაროს მოწინავე სტახანოველმა გოგია სამხარაძემ.

— ამხანაგებო, — სთქვა მან, — საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ იმას, ვის სახელსაც უდიდესი სიამაყით ატარებს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, ვასახელებ ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ლენინის მაღაროების პარტკომის მდივანმა ამხ. კოსტა მახათაძემ. მან საქ. სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა დიდი სტალინის თანამებრძოლი ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს სტახანოველმა სერგო გაფრინდაშვილმა კანდიდატად დაასახელა ანასტას მიქოიანი; ვოროშილოვის სახელობის მაღაროს მოწინავე სტახანოველმა სერგო ცუცქირიძემ დაასახელა თავდაცვის სახალხო კომისარი, წითელი არმიის ნიჭიერი სარდალი ამხანაგი ვოროშილოვი. ბერიას სახელობის მაღაროს პარტკომის მდივანმა დავით ბრეგვაძემ დაასახელა ამხ. ლავრენტი ბერიას კანდიდატურა, სტახანოველმა ლავრენტი ჩუბინიძემ დაასახელა პარტიის ჰიათურის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. დავით ლაზარეს-ძე ჭორჭოლიანი.

(საქდესი)

ლანჩხუთი

ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჭვემო - ჩიბათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო საერთო კრებამ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა ამხანაგები:

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
გენიამინ ვასილის-ძე გოგუა

ჭვემო ჩიბათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წინასაარჩევნო საერთო კრებაზე თავი მოიყარა 400-ზე მეტმა ამომრჩეველმა. კრებაზე აღფრთოვანებული სიტყვებით გამოვიდა სტახანოველი კოლმეურნე ამხ. პლატონ პატარაია. „მე საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად, — სთქვა ამხ. პატარაიამ, — ვასახელებ საამური ცხოვრების შემქმნელს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს“. ამხანაგ სტალინის ხსენებაზე დარბაზი მქუხარე ტაშის გრიალმა და ოვაციებმა მოიცვა.

სიტყვა აიღო უხვი მოსავლის ოსტატმა, სტახანოველმა კოლმეურნემ — ამხ. სარუჯელაძემ, რომელმაც საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს ბოლშევიკების სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

სიამაყის გრძნობით აღსავსე სიტყვით გამოდის ამხ. გრამიტონ ზოიძე, რომელიც მხარს უჭერს წამოყენებული ამხანაგების კანდიდატურებს. მან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს ხელოვნების საქმეთა კომიტეტის მთავარსამმართველოს უფროსი ამხ. ბენიამინ ვასილის-ძე გოგუა.

მარქსის საქმე უკვდავია!

ას ოცი წლის წინათ დაიბადა კარლ მარქსი — მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის დიდი ბელადი და მასწავლებელი, პროლეტარიატის დიქტატურის გენიალური თეორიკოსი.

კაპიტალისტური ომების წყვდიადში მარქსმა მაღლა ასწია მთელს მსოფლიოზე სოციალიზმისათვის პროლეტარიატის გმირული ბრძოლის დროშა. მან აღმოაჩინა პროლეტარიატის, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავისა და ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლის, მსოფლიო - ისტორიული მოწოდება. თავის ერთგულ თანამებრძოლ და მეგობარ ენგელსთან ერთად მან შეაიარაღა მუშათა კლასი შესანიშნავი მთლიანი და მეცნიერული მსოფლმხედველობით, რაც ორიენტირების ძალასა და გამარჯვების ნდობას იძლეოდა. პირველად იქნა აღმოჩენილი კაპიტალიზმის ისტორიის განვითარების ნამდვილი კანონები, გაშუქებულ იქნა ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი საიდუმლოებანი.

მარქსმა გვიჩვენა სოციალიზმის განხორციელების ერთადერთი შესაძლო გზა — ბურჟუაზიის ხელისუფლების ძალით დამხობა, მუშათა კლასის რევოლუციური დიქტატურის დამყარება და განმტკიცება, რაც აუცილებელია კაპიტალიზმიდან კომუნიზმის თვით უმაღლეს ფაზამდე გადასვლის მთელი ისტორიული პერიოდის განმავლობაში. მან დაასაბუთა, რომ საჭირია პოლიტიკური პარტია პროლეტარიატისა, რომელიც წარმოადგენს თავისი კლასის ავანგარდს, მის ყველაზე რევოლუციურ და შეგნებულ, თავდადებულ და დისციპლინირებულ ნაწილს. მან გვიჩვენა, რომ მუშათა კლასი არის ყველა მშრომელის, და, უწინარეს ყოვლისა, გლეხთა მასების ბელადი და ხელმძღვანელი მათს ბრძოლაში კაპიტალისტური და სხვა ყოველგვარი მოხობის წინააღმდეგ.

მარქსსა და ენგელსის აღმოჩენების წყალობით სოციალიზმი აღარ არის უტოპია, იგი გახდა მეცნიერული თეორია. კაცობრიობის საუკეთესო ადამიანთა ათეული საუკუნეების ოცნებებმა და მისწრაფებებმა მტკიცე, მეცნიერული ნიადაგი ჰპოვეს.

„მარქსიზმი არის მუშათა კლასის ძირითადი ინტერესების მეცნიერული გამოხატულება“. (სტალინი). და ამასთან ერთად მარქსის მოძღვრება კაცობრიობის კულტურის მრავალ-საუკუნოებრივი განვითარების უმაღლესი მიღწევაა. ვინაიდან მუშათა კლასი, ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე ჩაგრული კლასი, წარმოადგენს საზოგადოებრივი პროგრესის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრესა და განმგრძობს.

მარქსმა მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე მუშათა კლასის საქმეს შესწირა. იგი იყო მგზნებარე პროლეტარული რევოლუციონერი. ბრძოლა იყო მისი სტიქია. იგი იყო ბელადი პროლეტარიატის პირველი კომუნისტური პარტიისა — „კომუნისტთა კავშირისა“, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობისა“—პირველი ინტერნაციონალისა, რომელმაც დედამიწაზე ააფრიალა პროლეტარული ინტერნაციონალის საბრძოლო ალამი.

„მისი სახელიცა და საქმეც საუკუნეების მანძილზე იცოცხლებენ!“ — სთქვა ენგელსმა თავისი დიდი მეგობრის ახლადგაჩენილ საფლავზე.

წინასწარმეტყველური სიტყვებია! მას შემდეგ, რაც მარქსიზმი პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა, ისტორიის ყოველი ნაბიჯი კელავ და კვლავ ადასტურებს მის სრულ სიმართლეს.

მარქსის სიცოცხლეში კაპიტალიზმი განუყოფლად ბატონობდა დედამიწაზე. თითქოს არ არსებობსო ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს მსხვერპლის გამოგლეჯა მისი კლანჭებიდან. საშინელი ექსპლოატაციის ბრძოლაში იწრთობოდა პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება, სტიქიური პროტესტებიდან და არაორგანიზებული გამოსვლებიდან კვალდაკვალ იქმნებოდა ნებისყოფა და გაბედულება ბრძოლაში, მებრძოლთა დაჩაგრული ჯგუფები მცირერიცხვან რაზმებად ერთიანდებოდნენ. მშრომელთა კლასობრივი ბრძოლისა და საერთაშორისო სოლიდარობის იდეები გზას იკაფავდნენ საუკუნოებრივი ცრურწმენებისა და ილუზიების ტყეში. მჭიდრო ჯგუფად მიდიოდნენ მარქსი და ენგელსი თავის მოწაფეებთან და თანამოძმეებთან ერთად, შეჭრილნი რა მასებში რევოლუციური სოციალისტური სიმართლის სიტყვები და საქმეები. სოციალიზმი როგორც მიზანი, პროლეტარული რევოლუცია როგორც ერთადერთი შესაძლო გზა, პროლეტარიატის დიქტატურა როგორც საბოლოო მიზნის განხორციელების საშუალება — მარქსისტული მოძღვრების ეს დიადი პრინციპები მუშათა კლასმა ტანჯვით შეისისხლხორცა, გაჭირვებით, ბრძოლით, დამარცხებებითა და გამარჯვებებით აღსავსე ცხოვრების გამოცდილებაში.

ახლა სოციალიზმი განხორციელებულია ცხოვრებაში ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს თვალუწვდენელ სივრცეებზე. მარქსისა და ენგელსის მიერ დათესილი, ლენინისა და სტალინის მიერ გამოზრდილი და ნაყოფიერებული, ურიცხვი სარეველა ბალახებისაგან გულმოდგინედ დაცული თესლი, უხვად აღმოცენდა. მარქსის საქმე იფურჩქნება საბჭოთა ხალხის ბედნიერ სოციალისტურ ცხოვრებაში. იგი ცოცხლობს ლენინისა და სტალინის მიერ აღზრდილ, საუკეთესო ფოლადივით მტკიცე ბოლშევიკურ პარტიაში, მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოში, რომელიც პირველია მსოფლიო ისტორიაში. იგი განსახიერებულია სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრ მშენებლობებში და მეოთხედ მილიონ კოლმეურნეობებში, რომლებმაც გლეხთა მასების წინაშე ახალი, წინადარნახული გზა გადაშალეს. იგი ცოცხლობს ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, სოციალისტური, სტალინური ეპოქის შესანიშნავ ადამიანებში, მათს გმირულ საქმეებში, რომლებიც მთელი პატიოსანი კაცობრიობის აღტაცებას იწვევენ, და მათს ყოველდღიურ სტახანოვურ საქმეებში, რომლებიც კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა გზას ჰკაფავენ.

საუცხოო სინამდვილედ იქცა მარქსის გენიით წინასწარ განჭვრეტილი წყობილება, — სოციალისტური საზოგადოება, რომელშიც „თვითეულის თავისუფალი განვითარება წარმოადგენს ყველას თავისუფალი განვითარების პირობას“. და თუნდაც კაპიტალიზმის სულთმობრძავ მხეცს მაგრად ეჭიროს კლანჭებში ასეული მილიონების ბედ-იღბალი, — მისი მონოპოლია ძალაუფლებაზე, მეურნეობაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე საბოლოოდ ძირგამთხრილია.

ყოველივე ეს შეურყეველად სდგას გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა ქვეყნა გრძნობათა მძვინვარე ოკეანეში და ძველი სამყაროს ბნელ ძალებს შორის, იზიდავს რა თავის მხარეზე ყოველივე იმის გულსა და გონებას, რაც კი მსოფლიოში საუკეთესო, ცოცხალი, პროგრესიულია.

მარქსის მოწაფეები და მიმდევრები, მისი საქმის განმგრძობნი არიან ლენინი და სტალინი. მათ გიგანტურად გააშარავეს მარქსისა და ენგელსის ძვირფასი მემკვიდრეობა.

შემოქმედებითად გამოიყენა და რევოლუციური მარქსიზმის მეთოდი ახალ ისტორიულ ვითარებაში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში, ლენინმა ახლებურად დააყენა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი და დადებითად გადასჭრა იგი. მან დაიცვა და ოპორტუნისტული დამახინჯებისაგან გაასწორდა ის, რაც მთავარია მარქსიზმში — მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურაზე — და აღმოაჩინა საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა. ამხანაგმა სტალინმა, სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების ორი სისტემის ტიტანური ბრძოლის უდიდესი გამოცდილების საფუძველზე, გაამდიდრა და განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრება. მან ყოველმხრივ დაამუშავა მარქსისტულ - ლენინური მოძღვრება სოციალიზმის აშენების გზებისა და მეთოდების შესახებ, აშკარა რა მუშათა კლასის შეიძლებული უბოროტესი მტრების მხრივ მარქსიზმ-ლენინიზმის ფალსიფიკაციის ურიცხვი ცდები. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიამ სსრ კავშირის მშრომელები მიიყვანა სოციალიზმის უდიდეს მსოფლიო - ისტორიულ გამარჯვებებამდე.

მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის სახელები ერთიან გვირგვინად გადაიწნა, ერთ განუყრელ მთელად შეიკრიბა. ეს სახელები ათობენ ყველა იმათ გულს, ვინც იბრძვის კაპიტალიზმის ნათელი მომავალი დღისათვის, ფაშისტური ბარბაროსობისა და მხეცობის შავბნელი ღამის წინააღმდეგ.

მარქსის საქმე ცოცხლობს სსრ კავშირის სტალინურ კონსტიტუციაში, მოზეიმე სოციალიზმის დიად ქარტიაში, რომელიც ამასთან ერთად წარმოადგენს მრისხანე საბრალდებო აქტს ფაშიზმისა და ყველა მისი ხელშემწყობის სისხლიან ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ. კაპიტალისტური წყობილება — საკვდილოდ დაჭრილი მტაცებელი, რომელსაც თავის კუთნებში ჯერ კიდევ შერჩენია საშინელი დამბანგრეველი ძალა, — მილიონობით ადამიანთა სიცოცხლეს სწირავს თავის გულშემზარავ კერპთა სამსხვერპლოებზე. კაპიტალისტური გარემოცვა ჩვენს საზღვრებში ჰგზავნის ტროცკისტ - ბუხარინელ ჯაშუშებს. მაგრამ სოციალიზმის მტრების ყველა საბიზღარი განზრახვა იმსხვრევა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის გრანიტის კედელზე, ბოლშევიზმის მიუვალ სიმაგრეზე—ლენინ-სტალინის პარტიაზე, ჩვენი საშრომლოს ურყევ ძლიერებაზე, სამშობლოსა, სადაც ორი დიადი ძალა—ხალხი და კომუნიზმი — კაცობრიობის ისტორიაში პირველად დაუახლოვდა ერთმანეთს, ერთ მთელად შედუღდა.

მსოფლიოში იყო და არის ერთი დროშა, რომლის ქვეშაც სასიხარულოა ცხოვრება, ბრძოლა და გამარჯვება, — მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი, უკვდავი დროშა!

„პრავდის“ მოწინავე, 8/V.

აღბულაღ-მანგლისი

აღბულაღ-მანგლისის რაიონის სოფელ ასურეთის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე-ქალებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად წამოაყენეს ამხანაგები:

ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
ერნსტ გოტლიბის-ძე ანზელმანი

უდიდესი აღფრთოვანებით ჩატარდა წინასაარჩევნო კრება სოფელ ასურეთის ამხანაგ ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში.

კრებაზე სიტყვას ღებულობს კოლმეურნე - ქალი ბრაუნი. საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მან დაასახელა ამხანაგი ლავრენტი ბერია.

შემდეგ სიტყვით გამოდის ორდენოსანი ერნსტ გოტლიბის-ძე ანზელმანის კანდიდატურას.

დარწმუნებული ვართ — აცხადებს ამხ. კუკელი — რომ ანზელმანი გაამართლებს ჩვენს ნდობას და რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში თავისი ამომრჩევლების სახელოვანი წარმომადგენელი იქნება.

ამხ. კუკელის შემდეგ გამოსულმა კოლმეურნეებმა ამხ. ვოლერმა, კრომერმა, ვანიევმა და სხვებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი დასახელებულ კანდიდატებს. (საქდესი)

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის პირველი ღღეები

საქართველოს კოლმეურნეობებში დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. მიღებულია პირველი ცნობები იმის შესახებ, რომ წულუკიძის რაიონში (6 მაისს), ლანჩხუთის და ახალციხის რაიონებში (7 მაისს) კოლმეურნეები გავიდნენ პლანტაციებში პირველი ფოთლის საკრეფად. ღოთლის მასობრივი კრეფა საქართველოს ჩაის ყველა რაიონში დაიწყება 15 მაისიდან გაჩაღდება. ჩაის ბუჩქები ყველგან კარგს მდგომარეობაშია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩაის კრეფა უკვე გაჩაღებულია, ჯერ ჩაის ყველა ფაბრიკა არ არის მომზადებული ახალი სეზონისათვის. ასე, მაგალითად, ახახაძის ფაბრიკამ პირველი ღღეებიდანვე ტრანსპორტის უქონლობის გამო ვერ შეძლო გადაეზიდა ფოთოლი საკოლმეურნეო მიმღები პუნქტებიდან. გზები ყველგან როდია შეკეთებული, ყველა მიმღები პუნქტი არც ტარით არის უზრუნველყოფილი. (საქდესი).

წინასაარჩევნო კრებები კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა

ს ი ღ ნ ა ღ ი

საქნამთის მირზაანის სარეწაოებისა და ხირსის ნაბეჭდთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებაზე, რომელსაც 550 კაცი დაესწრო, პირველად სიტყვით გამოვიდა სტახანოველი მბურღავი მუშა ამხ. გიორგი მქედლიშვილი.

—საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს, აგრეთვე მის საუკეთესო თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

წინასაარჩევნო კრებები შესდგა აგრეთვე არბოშიკის, ბოდბის, ჯუგაანის და ქვემო-მაჩხაანის კოლმეურნეობებში. საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ყველგან ერთხმულად დაასახელეს მშობლიური სტალინი და აგრეთვე მისი სახელოვანი თანამებრძოლები ლავრენტი ბერია.

ბ ა ღ დ ა თ ი

ბაღდათის რაიონის ვარციხის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად დაასახელა ხალხთა დიდი ბელადი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი
ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
ქალიშო კონსტანტინეს-ასული კვირიკაშვილი

ვარციხის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებას 200-მდე. ამომრჩეველი დაესწრო. კრებაზე პირველი სიტყვა აიღო კომკავშირელმა ამხ. ვახტანგ ბაქრაძემ, რომელმაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად წამოაყენა მსოფლიო მუშათა კლასის საყვარელი ბელადი ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. საყვარელი ბელადის სახელის ხსენებას დამსწრენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. სტახანოველმა ამხ. ლავრენტი ბალავაძემ დაასახელა დიდი სტალინის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის კანდიდატურა.

— ამხანაგებო, — ამბობს საბჭოთა მეურნეობის წარჩინებული მუშაკი ამხ. ვახტანგ კვირიკაშვილი,— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მე ვასახელებ ორდენოსანი საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს, ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

სტალინი, კაგანოვიჩი და ბერია.

ხ ა შ უ რ ი

ხაშურის საოლქთაძლმავლო დეპოს მუშა - მოსამსახურეთა და ინჟინერ - ტექნიკურ მუშაკთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ერთხულოვნად დაასახელა მშრომელთა საყვარელი ბელადი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
ირაკლი ესტატეს-ძე ღუდუშაური

საოლქთაძლმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა წინასაარჩევნო კრებას, რომელიც 5 მაისს შესდგა, 200-დე ამომრჩეველი დაესწრო.

პირველად სიტყვა აიღო სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ივანე ცაყელაშვილმა.

— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ვასახელებ — განაცხადა მან,—მშრომელთა საყვარელ ბელადს, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის, დიადი კონსტიტუციის შემოქმედს ჩვენს მასწავლებელს და მამას დიდ სტალინს.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა სტახანოველი მუშა გიორგი კიკნაძე. მან დეპუტატობის კანდიდატად საერთო მოწონების და ტაშის გრიალში დაასახელა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი, მტკიცე სტალინელი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

სტახანოველმა — უპარტიო მუშამ გიორგი ამბოკაძემ, დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი ამხ. ირაკლი ესტატეს-ძე ღუდუშაური.

ც ა გ ე რ ი

ცაგერის რაიონის კოლმეურნეობათა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად წამოაყენა ამხანაგები:

კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი
სიმონ მოსეს-ძე ჭელიძე

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინასაარჩევნო კრებაზე შეიკრიბნენ სოფ. ზეშო ცაგერის კოლმეურნეობის წევრები და წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი. კრებას 1.000-ზე მეტი ამომრჩეველი დაესწრო.

პირველად სიტყვით გამოვიდა კოლმეურნე კ. გოგიძე, რომელმაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის კანდიდატურა წამოაყენეს აგრეთვე სოფ. ქვემო ცაგერის, ზუბის, ოყურეშის, ნაკურალეშის და სხვა კოლმეურნეობათა წინასაარჩევნო კრებებზე.

სოფ. ქვემო ორბელის ამხანაგ ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წინასაარჩევნო კრებაზე სიტყვით გამოსულმა კოლმეურნემ ამხ. დ. ჭაბუკიანმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომის მდივანი ამხ. სიმონ მოსეს-ძე ჭელიძე.

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ხელი უნდა შეუწყოს ახალ წარმატებათა მოპოვებას სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში

პარტორგანიზაციის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩასთვალეს

თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრება 4 მაისს ერთი საათისა და 40 წუთის დაგვიანებით დაიწყო. კრებაზე დაგვიანებით გამოცხადდნენ ამხანაგები: მ. ბალთაურია, დ. თევლაძე, შ. ჭედლიშვილი, ბ. ხურცია, ხოლო მ. ჭუბუინოვი სრულიად არ დასწრებია. პარტორგანიზაციის განვლილი მუშაობის შესახებ საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე თვითკრიტიკული მოხსენებით გამოვიდა პარტკომის მდივანი ამხ. ბ. კვანტალიანი.

პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. ბ. კვანტალიანის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდა 14 კომუნისტი, როგორც მოხსენებიდან, ისე მოკამათეთა სიტყვებიდან გამოირკვა, რომ პარტიული კომიტეტი სათანადოდ ვერ მუშაობდა ორგანიზაციის ზრდისათვის, პარტიულმა კომიტეტმა პარტიის რიგები ვერ გაზარდა მოწინავე, სტახანოველ და დამკვრელ კოლმეურნეთა ხარჯზე.

პარტორგანიზაციამ საანგარიშო წლის პერიოდში პარტიის წევრობის 15 კანდიდატიდან მხოლოდ ორი კაცი მიიღო პარტიის წევრად. პარტიის წევრობის კანდიდატად 58 კომკავშირელიდან მიღებულია 2 კაცი და 15 თანამგრძნობიდან ერთი კაცი.

